

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში წინამდებარე ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტით, მოქმედ კანონის 30-ე მუხლს ემატება მე-8 პუნქტი. მის თანახმად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონების ფარგლებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შინაარსთან, მოცულობასა და შემუშავების წესთან დაკავშირებული დამატებითი პირობები დგინდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

კანონპროექტი ასევე შეიცავს სხვა მითითებით ნორმას, დაკავშირებულს შეუსაბამო შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომლის დამატებით პირობებს განსაზღვრავს კანონპროექტი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

კანონპროექტი ძალადაკარგულად აცხადებს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტს, ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სისტემა, დადგენის წესები და შესაბამისი რეჟიმები განისაზღვრება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონპროექტით. ამასთან, კანონპროექტი ადგენს დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისას კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი ფასეულობების და სხვა დამცავი ზონების რეჟიმების გათვალისწინების აუცილებლობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

არ გამოიწვევს სამშენებლო საქმიანობის მწარმოებელ პირობათვის დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ვეროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ვეროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.